

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

**ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	9
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	19
5 ფული და ფულის ეკვივალენტები	20
6 გაცემული სესხები	21
7 ძირითადი საშუალებები	24
8 არამატერიალური აქტივები	25
9 სხვა აქტივები	25
10 სხვა ვალდებულებები	26
11 მიღებული სესხები	26
12 საწესდებო კაპიტალი	26
13 საპროცენტო შემოსავალი	27
14 შემოსავალი ჯარიმებიდან	27
15 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
16 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი	27
17 ფინანსური რისკების მართვა	27
18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	30
19 კაპიტალის მართვა	31
20 დაკავშირებული მხარეები	31
21 პირობითი ვალდებულებები	32
22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	32
23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

მერაბი მარდალეიშვილი
გენერალური დირექტორი

დალი ედიბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



მერაბი მარდალავიშვილი
გენერალური დირექტორი



დალი ედიბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ის მენეჯმენტს****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიხედვით დადგენილ ვადაგადაცილებულ სესხებზე დაწესებულ სტანდარტულ განაკვეთებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურზაცია, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ, რომელზეც ჩვენ დამატებით გამოვთქვავთ მოსაზრებას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ზომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიზეზილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 14 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544
SARAS-A-865011

თარიღი: 14 ივნისი, 2023
თბილისი, საქართველო



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	720,957	784,646
გაცემული სესხები	6	1,776,329	1,721,920
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	16	4,779	667
ძირითადი საშუალებები	7	69,821	29,931
არამატერიალური აქტივები	8	21,157	24,891
სხვა აქტივები	9	96,220	106,191
სულ აქტივები		2,689,263	2,668,246
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	7	55,476	14,378
სხვა ვალდებულებები	10	81,255	84,359
მიღებული სესხები	11	1,221,425	1,201,845
სულ ვალდებულებები		1,358,156	1,300,582
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,240,943	1,240,943
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		90,164	126,721
სულ კაპიტალი		1,331,107	1,367,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,689,263	2,668,246

მერაბი მარდალეიშვილი
 დირექტორი

დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	720,957	784,646
გაცემული სესხები	6	1,776,329	1,721,920
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	16	4,779	667
ძირითადი საშუალებები	7	69,821	29,931
არამატერიალური აქტივები	8	21,157	24,891
სხვა აქტივები	9	96,220	106,191
სულ აქტივები		2,689,263	2,668,246
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	7	55,476	14,378
სხვა ვალდებულებები	10	81,255	84,359
მიღებული სესხები	11	1,221,425	1,201,845
სულ ვალდებულებები		1,358,156	1,300,582
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,240,943	1,240,943
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		90,164	126,721
სულ კაპიტალი		1,331,107	1,367,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,689,263	2,668,246


 მერაბი მარდალავიშვილი
 დირექტორი


 დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	13	426,852	471,681
საპროცენტო ხარჯი	11	(105,229)	(105,940)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		321,623	365,741
შემოსავალი ჯარიმებიდან	14	36,701	37,382
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		3,105	4,293
სხვა შემოსავალი		5,739	10,278
საოპერაციო შემოსავალი		367,168	417,694
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(281,325)	(289,821)
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 8	(39,350)	(40,876)
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	6	32,560	31,255
სხვა აქტივებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი		7,709	17,635
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		658	4,781
სხვა ხარჯი		-	(45)
მოგება დაბეგვრამდე		87,420	140,623
მოგების გადასახადის ხარჯი	16	2,744	(13,902)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		90,164	126,721
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		90,164	126,721

მერაბი მარდალეიშვილი
 დირექტორი


დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	13	426,852	471,681
საპროცენტო ხარჯი	11	(105,229)	(105,940)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		321,623	365,741
შემოსავალი ჯარიმებიდან	14	36,701	37,382
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		3,105	4,293
სხვა შემოსავალი		5,739	10,278
საოპერაციო შემოსავალი		367,168	417,694
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(281,325)	(289,821)
კვეთა და ამორტიზაცია	7; 8	(39,350)	(40,876)
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	6	32,560	31,255
სხვა აქტივებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი		7,709	17,635
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		658	4,781
სხვა ხარჯი		-	(45)
მოგება დაბეგვრამდე		87,420	140,623
მოგების გადასახადის ხარჯი	16	2,744	(13,902)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		90,164	126,721
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		90,164	126,721


მერაბი მარდალუიშვილი
დირექტორი


დალი ედიბერიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		87,420	140,623
<i>კორექტირებები:</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა / ამორტიზაცია	7; 8	39,350	40,876
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	6	(32,560)	(31,255)
ცვლილება დასაკუთრებული ქონების რეზერვში		(7,709)	(17,635)
საპროცენტო ხარჯი	11.1	105,229	105,940
გაცემული სესხების შემცირება/(ზრდა)		(21,849)	252,280
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)		31,265	105,882
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(3,104)	(65,976)
ფულადი სახსრების გადინება პროცენტსა და დაბეგვრამდე		198,042	530,735
საპროცენტო ხარჯის გადახდა		(121,494)	(98,792)
მოგების გადასახადის გადახდა		2,744	(13,902)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		79,292	418,041
ფულადი სახსრების სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(3,949)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		-	(3,949)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		1,919,747	1,728,234
გადახდილი სესხები		(1,900,166)	(1,958,059)
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(35,841)	(32,126)
გადახდილი დივიდენდი		(126,721)	(43,408)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(142,981)	(305,359)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)		(63,689)	108,733
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		784,646	675,913
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	720,957	784,646

მერაბი მარდალეიშვილი
 დირექტორი

დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		87,420	140,623
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა / ამორტიზაცია	7; 8	39,350	40,876
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	6	(32,560)	(31,255)
ცვლილება დასაკუთრებული ქონების რეზერვში		(7,709)	(17,635)
საპროცენტო ხარჯი	11.1	105,229	105,940
გაცემული სესხების შემცირება/(ზრდა)		(21,849)	252,280
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)		31,265	105,882
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(3,104)	(65,976)
ფულადი სახსრების გადინება პროცენტსა და დაბეგვრამდე		198,042	530,735
საპროცენტო ხარჯის გადახდა		(121,494)	(98,792)
მოგების გადასახადის გადახდა		2,744	(13,902)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		79,292	418,041
ფულადი სახსრების სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(3,949)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		-	(3,949)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		1,919,747	1,728,234
გადახდილი სესხები		(1,900,166)	(1,958,059)
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(35,841)	(32,126)
გადახდილი დივიდენდი		(126,721)	(43,408)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(142,981)	(305,359)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)		(63,689)	108,733
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		784,646	675,913
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	720,957	784,646


 მერაბი მარდალაშვილი
 დირექტორი


 დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	43,408	1,284,351
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	126,721	126,721
დივიდენდი	-	(43,408)	(43,408)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	126,721	1,367,664
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	90,164	90,164
დივიდენდი	-	(126,721)	(126,721)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	90,164	1,331,107


მერაბი მარდალეიშვილი
 დირექტორი

დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	43,408	1,284,351
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	126,721	126,721
დივიდენდი	-	(43,408)	(43,408)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	126,721	1,367,664
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	90,164	90,164
დივიდენდი	-	(126,721)	(126,721)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,240,943	90,164	1,331,107



მერაბი მარდალუიშვილი
 დირექტორი



დალი ედიბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 თარიღი: 14 ივნისი, 2023

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2014 წლის 19 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის უბანი, ლაღო ასათიანის ქ. N4.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იპოთეკური (უძრავი ქონებით) და ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების გაცემა. ასევე ხდება ბიზნეს სესხებისა და სამომხმარებლო სესხების გაცემა.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ის დამფუძნებლები არიან:

დამფუძნებელი	31-დეკ-22	31-დეკ-21
ივანე ბარბაქაძე	15.0000%	15.0000%
მანანა კაკთიაშვილი	10.8696%	10.8696%
ირაკლი გუნია	10.6440%	10.6440%
და სხვა მცირე წილის მფლობელი პარტნიორები	63.4864%	63.4864%
	100%	100%

კომპანიის დირექტორია მერაბი მარდალეიშვილი. კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 2022 წლის მანძილზე იყო 11 თანამშრომელი (2021 წელი: 11 თანამშრომელი).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას, მინიმუმ 1,000,000 ლარი 2019 წლის 1 სექტემბრამდე და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 56 ქულაა (180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილს იკავებს). საქართველოს შედეგი გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა 1 ქულით. (2022 წელს 55 ქულა).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ზარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება ლიკვიდურობას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

3.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები - "წამებთან დაკავშირებული - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- გ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წამებთან დაკავშირებული - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წამებთან იქნება თუ არა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs) (გაგრძელება)

ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

3.4 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;
- ე) ბასს 8-ის შესწორებები - ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად" - ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.4 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

კომპანია არ მოელის სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები - "სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;
- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;
- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის საგარეულო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31 - 60	61 - 90	91 - 180	> 180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელის მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "მინარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება;

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.7 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ, რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე, პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯებთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწერა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის ღირებულება იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	შეფასებული საექსპლუატაციო ვადები
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	4-5 წელი

3.9 არამატერიალური აქტივები

შექმნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება მასზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზირებით, ამორტიზაციის და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

3.10 დასაკუთრებული ქონება

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. კომპანია დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმის სახით და მათ მიიჩნევს შეძენილ აქტივად და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

3.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედება ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგრის მომენტი გადარჩენა მოგების გამოთქმების თარიღიდან მისი

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.11 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გაცემის თარიღამდე და, შესაბამისად, ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0% განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

3.12 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვეითებით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

3.13 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას. ფართის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით იგივე პირობებით, თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან პირობების შეცვლის თაობაზე. საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გადახდები, რომლებიც წარმოიშევა გონივრულობის ფარგლებში, ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივების ფარგლებში.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.13 საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების დისკონტირება ზორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადაში შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაში შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს უცხოურ ვალუტაში. პერიოდის განმავლობაში, მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი იყო 7.35%.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

3.14 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

3.15 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

3.16 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

3.17 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის, ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელებს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

3.18 ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

3.19 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.19 უცხოური ვალუტის გადაფასება (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ევრო	2.8844	3.5040

3.20 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

არამატერიალური აქტივების მომსახურეობის ვადა - კომპანიის მიერ მომსახურეობის ვადის შეფასება, ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს მსგავს აქტივებთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ამორტიზაციას. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

საიჯარო ვადის განსაზღვრა - საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა - როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას, როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები. ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

სესხის გაუფასურების ზარჯი - კომპანია სესხების და მოთხოვნების ამოღების შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მილიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ზარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ზარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს. კომპანია საეჭვო ვალების რეზერვს ქმნის შენიშვნა 6.4-ში აღწერილი ვადაგადაცილების დღეებისა და რეზერვის განაკვეთების შესაბამისად.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულდება სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული ბანკში	331,403	466,777
სალარო	11,274	8,108
ვადიანი დებოზიტები რეზიდენტ ბანკებში *	378,280	309,761
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	720,957	784,646

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით

	31-დეკ-22	31-დეკ-21
აშშ დოლარი	592,270	687,678
ლარი	126,668	52,467
ევრო	2,019	44,501
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	720,957	784,646

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც BB- სა და B- ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი), B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას გააჩნია შეზღუდული ფულადი სახსრები 378,280 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის: 309,761 ლარი), რომელიც სესხის უზრუნველყოფადაა განთავსებული.

6 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს ძირითადად ფიზიკურ პირებზე გაცემს. სესხის მიზნობრიობა ჩვეულებრივ ორგანია: სამომხმარებლო, საბრუნავი საშუალებების შესაცვლად, ვალდებულებების დაფარვა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სესხის ვადა სტანდარტულად მერყეობს რამდენიმე თვიდან (სალომბარდე სესხები) 7 წლამდე (იპოთეკური სესხები). სესხის დაფარვის პრინციპი ორგანია - ანუიტეტური, რაც გულისხმობს ძირისა და პროცენტის მომცველ თანაბარ ყოველთვიურ გადახდებს სესხის ვადის განმავლობაში ან, მოერე პრინციპით, სესხის პროცენტის ყოველთვიური დაფარვა და შემდგომ სესხის ძირის დაბრუნება სესხის ვადის ბოლოს. 2022 წელს გაცემულ სესხებზე წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 18%-დან 36%-მდე (2021 წელს: 18%-დან 26.4%-მდე). სესხების უდიდესი ნაწილი არის უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფა მოიცავს უძრავ ქონებასა და ძვირფას ლითონებს. სესხების მცირე ნაწილი (ძირითადად ინსაიდერული სესხები) არის არაუზრუნველყოფილი. სესხების დაყოფა მიზნობრიობითა და უზრუნველყოფის მიხედვით წარმოდგენილი ქვემოთ ცხრილის სახით:

6.1 სესხების დაყოფა უზრუნველყოფის მიხედვით	31-დეკ-22	31-დეკ-21
უძრავი ქონება	1,032,536	1,193,736
ძვირფასი ლითონები	699,568	515,479
არაუზრუნველყოფილი	2,978	5,523
სულ გაცემული სესხის ძირი	1,735,082	1,714,738
მისაღები პროცენტი	41,257	39,752
სულ გაცემული სესხის ძირი და პროცენტი	1,776,339	1,754,490
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(10)	(32,570)
წმინდა გაცემული სესხები	1,776,329	1,721,920
	იპოთეკური	სალომბარდე
31-დეკ-22 სესხის მიმდინარე ღირებულება	1,032,536	699,568
უზრუნველყოფის FVLCS *	4,843,501	788,997
31-დეკ-21 სესხის მიმდინარე ღირებულება	1,193,736	515,479
უზრუნველყოფის FVLCS *	17,039,676	1,140,112

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

6.2 სესხების დაყოფა სამომხმარებლო საბრუნავის მიხედვით	31-დეკ-22	31-დეკ-21
სამომხმარებლო	1,576,883	1,625,308
საბრუნავი საშუალებების შევსება	22,080	89,430
სხვა	136,119	-
სულ გაცემული სესხის ძირი	1,735,082	1,714,738
მისაღები პროცენტი	41,257	39,752
სულ გაცემული სესხის ძირი და პროცენტი	1,776,339	1,754,490
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(10)	(32,570)
წმინდა გაცემული სესხები	1,776,329	1,721,920

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული სესხებიდან დიდი ნაწილი 99% (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 90%) გაცემულია ლარში. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 1% (2021 წელს პორტუგლის დაახლოებით 10%) გაცემულია 2017 წლამდე და დღეის მდგომარეობით პერიოდულად ხდება მათი გახანგრძლივება მომხმარებლების მოთხოვნის საფუძველზე. უცხოური ვალუტით ახალი სესხების გაცემა არ წარმოებს. გაცემული სესხების დაყოფა გაცემის ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

6 გაცემული სესხები (გაგრძელება)

6.3 სესხების დაყოფა გაცემის ვალუტის მიხედვით	31-დეკ-22	31-დეკ-21
ლარი	1,718,611	1,550,888
აშშ დოლარი	16,471	163,850
სულ გაცემული სესხის ძირი	1,735,082	1,714,738
მისაღები პროცენტი	41,257	39,752
სულ გაცემული სესხის ძირი და პროცენტი	1,776,339	1,754,490
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(10)	(32,570)
წმინდა გაცემული სესხები	1,776,329	1,721,920

6.4 სესხების დაყოფა პირების მიხედვით

კომპანიის სასესხო პროდუქტების ძირითად მომხმარებლებს ფიზიკური პირები წარმოადგენენ, თუმცა მცირედი ნაწილი ოურიდიულ პირებზეც მოდის:

სესხების დაყოფა პირების მიხედვით	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	1,734,978	1,713,383
ოურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	104	1,355
სულ გაცემული სესხის ძირი	1,735,082	1,714,738
მისაღები პროცენტი	41,257	39,752
სულ გაცემული სესხის ძირი და პროცენტი	1,776,339	1,754,490
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(10)	(32,570)
წმინდა გაცემული სესხები	1,776,329	1,721,920

6.5 სესხების გაუფასურების რეზერვი

კომპანიის ძირითადი სარეზერვო პოლიტიკა გაცემულ სესხებთან დაკავშირებით ითვალისწინებს სესხების დაყოფას ვადაგადაცილების დღეების მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში	2022	2021
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	32,570	63,825
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	23,610	48,449
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	(56,170)	(79,704)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	32,570

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

6 გაცემული სესხები (გაგრძელება)

6.5 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	ინსაიდერული სესხი	იპოთეკური სესხი	სალომბარდე სესხი	სულ
0-დან 30-ის ჩათვლით	2,977	967,433	699,568	1,669,978
31-დან 60-ის ჩათვლით	-	104	-	104
61-დან 90-ის ჩათვლით	-	-	-	-
91-დან 120-ის ჩათვლით	-	-	-	-
121-დან 150-ის ჩათვლით	-	-	-	-
151-დან 180-ის ჩათვლით	-	-	-	-
180-ზე მეტი	-	65,000 *	-	-
სულ	2,977	1,032,537	699,568	1,670,082
სესხის პროცენტი	32	33,968	7,257	41,257
სულ	3,009	1,066,505	706,825	1,711,339

* ერთ სესხზე დაფიქსირდა 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება, აღნიშნული სესხის ნაშთი არ დარეზერვებულია, რადგან სესხის უზრუნველყოფის რეალიზაცია განხორციელდა 2022 წლის დეკემბრის თვეში, რომლის ანაზღაურებაც კომპანიას ჩაურციცხა 2023 წლის იანვარში. შესაბამისად, აღნიშნული მივიჩნიეთ მაკორექტირებელ მოვლენად, რადგან აუქციონი დასრულდა 2022 წლის დეკემბერში.

ვადაგადაცილებული დღეები	სამომხმარებლო სესხი	სულ
0-დან 30-ის ჩათვლით	-	-
31-დან 60-ის ჩათვლით	10	10
61-დან 90-ის ჩათვლით	-	-
91-დან 120-ის ჩათვლით	-	-
121-დან 150-ის ჩათვლით	-	-
151-დან 180-ის ჩათვლით	-	-
180-ზე მეტი	-	-
სულ ვადაგადაცილებით დარიცხული რეზერვი	10	10
პროცენტის ანარიცხი	-	-
წლის ბოლოს ჯამური რეზერვი	10	10

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	ინსაიდერული სესხი	იპოთეკური სესხი	სალომბარდე სესხი	სულ
0-დან 30-ის ჩათვლით	5,523	1,193,736	491,168	1,690,427
31-დან 60-ის ჩათვლით	-	-	10,300	10,300
61-დან 90-ის ჩათვლით	-	-	6,600	6,600
91-დან 120-ის ჩათვლით	-	-	7,411	7,411
121-დან 150-ის ჩათვლით	-	-	-	-
151-დან 180-ის ჩათვლით	-	-	-	-
180-ზე მეტი	-	-	-	-
სულ	5,523	1,193,736	515,479	1,714,738
სესხის პროცენტი	71	33,845	5,836	39,752
სულ	5,594	1,227,581	521,315	* 1,754,490

* ცხრილში ნაჩვენებია სესხის ძირი და სესხის პროცენტი რეზერვის გარეშე.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

6 გაცემული სესხები (გაგრძელება)

6.5 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული დღეები	სამომხმარებლო სესხი	სულ
0-დან 30-ის ჩათვლით	-	-
31-დან 60-ის ჩათვლით	660	660
61-დან 90-ის ჩათვლით	2,223	2,223
91-დან 120-ის ჩათვლით	1,030	1,030
121-დან 150-ის ჩათვლით	-	-
151-დან 180-ის ჩათვლით	-	-
180-ზე მეტი	-	-
სულ ვადაგადაცილებით დარიცხული რეზერვი	3,913	3,913
პროცენტის ანარიცხი	276	276
სულ ვადაგადაცილების ანარიცხი	4,189	4,189
სეს-ის რეგულაციით დარიცხული რეზერვი	97,209	97,209
რეზერვის შემცირება	(68,828)	(68,828)
რეზერვი პერიოდის ბოლოს	28,381	28,381
წლის ბოლოს ჯამური რეზერვი	32,570	32,570

7 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კაპიტალური დანახარჯები	უფლება აქტივის გამოყენებაზე *	სულ
31-დეკ-20	19,805	20,294	9,007	57,946	107,052
ჩამოწერები	(1,092)	(2,583)	(1,554)	(12,762)	(17,991)
31-დეკ-21	18,713	17,711	7,453	45,184	89,061
შეძენები	-	-	-	82,238	82,238
ჩამოწერები	(4,178)	(3,094)	(1,135)	(9,955)	(18,362)
31-დეკ-22	14,535	14,617	6,318	117,467	152,937
დაგროვილი ცვეთა					
31-დეკ-20	(14,535)	(8,458)	(908)	(16,096)	(39,997)
პერიოდის ცვეთა	(1,053)	(1,981)	(1,555)	(31,895)	(36,484)
ცვეთის ჩამოწერა	1,053	1,981	1,555	12,762	17,351
31-დეკ-21	(14,535)	(8,458)	(908)	(35,229)	(59,130)
პერიოდის ცვეთა	-	(1,051)	(1,135)	(33,941)	(36,127)
ცვეთის ჩამოწერა	-	1,051	1,135	9,955	12,141
31-დეკ-22	(14,535)	(8,458)	(908)	(59,215)	(83,116)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31-დეკ-20	5,270	11,836	8,099	41,850	67,055
31-დეკ-21	4,178	9,253	6,545	9,955	29,931
31-დეკ-22	-	6,159	5,410	58,252	69,821

* კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, სადაც წარმოდგენილია როგორც მოიჯარე-აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარა აიღო საოფისე ფართზე, შემდეგი ყოველთვიური გადასახდელით - გადახდები იცვლება 1,100-დან 1,300 დოლარამდე. მოქმედებს 2024 წლის 31 მაისამდე.

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი საანგარიშგებო 2022 წლის პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 58,252 ლარსა და 33,941 ლარს. (2021 წლის - 9,955 ლარსა და 31,895 ლარს). საიჯარო გადახდების დისკონტირების გასაანგარიშებლად გამოყენებულია კომპანიის სასესხო საპროცენტო განაკვეთი 7.35% აშშ დოლარი საიჯარო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 55,476 ლარსა და 2,933 ლარს (2021 წლის - 14,378 ლარსა და 2,452 ლარს.).

8 არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31-დეკ-20	52,012	52,012
შეძენა	3,949	3,949
გასვლა/ჩამოწერა	(8,341)	(8,341)
31-დეკ-21	47,620	47,620
შეძენა	-	-
გასვლა/ჩამოწერა	(3,734)	(3,734)
31-დეკ-22	43,886	43,886
დაგროვილი ამორტიზაცია		
31-დეკ-20	(22,729)	(22,729)
პერიოდის ამორტიზაცია	(4,392)	(4,392)
ცვეთის ჩამოწერა	4,392	4,392
31-დეკ-21	(22,729)	(22,729)
პერიოდის ამორტიზაცია	(3,223)	(3,223)
ცვეთის ჩამოწერა	3,223	3,223
31-დეკ-22	(22,729)	(22,729)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31-დეკ-20	29,283	29,283
31-დეკ-21	24,891	24,891
31-დეკ-22	21,157	21,157

9 სხვა აქტივები	31-დეკ-22	31-დეკ-21
დასაკუთრებული ქონება	74,151	57,503
საგადასახადო აქტივი	13,245	4,611
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,824	44,077
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	96,220	106,191

9.1 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დასაკუთრებული ქონება შეადგენდა 74,151 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 57,503 ლარი).

9.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადახდილი ავანსები	7,650	43,048
სხვა მოთხოვნები	1,174	1,029
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,824	44,077

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

9 სხვა აქტივები (გაგრძელება)

9.3 საგადასახადო აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო აქტივები შეადგენს 13,245 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 4,611 ლარს.

10 სხვა ვალდებულებები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მიღებული ავანსები	73,492	57,503
სხვა ვალდებულებები	7,763	26,856
სულ სხვა ვალდებულებები	81,255	84,359

11 მიღებული სესხები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მიღებული სესხების ძირი აშშ დოლარში	604,579	794,766
მიღებული სესხების ძირი ლარში	338,075	326,515
რეზიდენტი კომერციული ბანკის სესხების ძირი ლარში	261,078	70,000
მიღებული სესხების პროცენტი აშშ დოლარში	13,708	7,360
მიღებული სესხების პროცენტი ლარში	2,527	3,204
რეზიდენტი კომერციული ბანკის სესხების პროცენტი ლარში	1,458	-
სულ მიღებული სესხები	1,221,425	1,201,845

მიღებული სესხები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მოკლევადიანი სესხების ძირი	1,203,732	1,191,281
მოკლევადიანი სესხების პროცენტი	17,693	10,564
სულ მიღებული სესხები	1,221,425	1,201,845

11.1 საპროცენტო ხარჯი	2022	2021
საპროცენტო ხარჯი ლარში	66,654	49,131
საპროცენტო ხარჯი აშშ დოლარში	38,575	56,809
სულ საპროცენტო ხარჯი	105,229	105,940

2022 და 2021 წლებში კომპანიას ჰქონდა მიღებული სესხები როგორც ფიზიკური პირებისგან, ასევე რეზიდენტი კომერციული ბანკისგანაც. მიღებული სესხები არის მოკლევადიანი (მაქსიმუმ 1 წლამდე), რომლებიც პერიოდულად ხანგრძლივდება ან იმავე (მაქსიმუმ 1 წლით) ან ნაკლები ვადით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულია სესხების 68% (2021 წელს 61%) ხოლო სესხების 32% (2021 წელს 39%) მიღებულია სხვა ფიზიკური პირებისგან.

კომპანიამ 2021 წლის 24 სექტემბერს 2022 წლის 09 სექტემბრამდე პერიოდისათვის სს "იშბანკი საქართველო"-სთან გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 600,000 ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც 2021 წელს კომპანიამ მიიღო ბანკისაგან სესხი 70,000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა გადასახდელი სესხის ძირს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2021 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 09 აგვისტომდე მიიღო 360,611 ლარი, ხოლო დაფარა 150,000 ლარი. აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 12.3%-ს. 2022 წლის 09 აგვისტოს განახლდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 2023 წლის 08 სექტემბრამდე, რომლის ფარგლებშიც თავდაპირველად გაიცა სესხი 361,078 ლარის ოდენობით, რითიც მოხდა არსებული ნაშთის (280,611 ლარის) გადაფარვა. 2022 წელს კვლავ გაიცა სესხი 100,000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულებისათვის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 12.5% -ით.

12 საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლების ბოლოს კომპანიის მილიანად გადახდილი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,240,943 ლარს.

კომპანიის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდი. 2022 და 2021 წლებში განაწილებული დივიდენდი შესაბამისად იყო 126,721 ლარი და 43,408 ლარი.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

13 საპროცენტო შემოსავალი	2022	2021
საპროცენტო შემოსავლები ფიზიკური პირებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხებიდან	280,021	348,561
საპროცენტო შემოსავლები ფიზიკური პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხებიდან	145,518	111,052
საპროცენტო შემოსავლები იურიდიული პირებისათვის მიცემულია გრძელვადიანი სესხებიდან	134	11,222
საპროცენტო შემოსავლები იურიდიული პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხებიდან	8	846
საპროცენტო შემოსავლები რეზიდენტი ბანკებისათვის მიცემული სესხებიდან	1,171	-
სულ საპროცენტო შემოსავალი	426,852	471,681

14 შემოსავალი ჯარიმებიდან	2022	2021
ლარში გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები	36,681	36,309
აშშ დოლარში გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები	20	1,073
სულ შემოსავალი ჯარიმებიდან	36,701	37,382

15 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
თანამშრომლებისა და მენეჯმენტის სახელფასო ხარჯები	123,895	130,671
თანამშრომლებისა და მენეჯმენტის პრემიები	56,464	50,636
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	33,057	40,566
ხარჯები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	25,058	23,007
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯები	7,750	7,563
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	6,733	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	28,368	37,378
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	281,325	289,821

16 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი	31-დეკ-22	31-დეკ-21
ძირითადი საშუალებები	(3,543)	(1,490)
საიჯარო ვალდებულებები	8,321	2,157
გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	4,779	667

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, კერძოდ ფასს-ის მიხედვით იჯარა ხარჯად აღიარდება ცვეთის და საპროცენტო ხარჯის სახით, ხოლო საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხარჯად აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო ღირებულება.

ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში	2022	2021
წლის დასაწყისი - აქტივი / (ვალდებულება)	667	(583)
ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი / (ხარჯი)	4,112	1,250
გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება) წლის ბოლოს	4,779	667

მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2022	2021
ნორმატიული საგადასახადო ხარჯი	(1,368)	(15,152)
ეფექტი გადავადებულ გადასახადზე	4,112	1,250
სულ მოგების გადასახადისგან (ხარჯი)/სარგებელი	2,744	(13,902)

17 ფინანსური რისკების მართვა

17.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

2022 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	126,668	2,019	592,270	720,957
გაცემული სესხები (წმინდა)	1,759,858	-	16,471	1,776,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	1,174	-	-	1,174
სულ ფინანსური აქტივები	1,887,700	2,019	608,741	2,498,460
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	603,138	-	618,287	1,221,425
ფინანსური იჯარა	-	-	55,476	55,476
სხვა ვალდებულებები	81,255	-	-	81,255
სულ ფინანსური ვალდებულებები	684,393	-	673,763	1,358,156
წმინდა სავალუტო პოზიცია	1,203,307	2,019	(65,022)	
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	52,467	44,501	687,678	784,646
გაცემული სესხები (წმინდა)	1,558,070	-	163,850	1,721,920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარდა)	1,030	-	-	1,030
სულ ფინანსური აქტივები	1,611,567	44,501	851,528	2,507,596
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	399,719	-	802,126	1,201,845
ფინანსური იჯარა	-	-	14,378	14,378
სხვა ვალდებულებები	84,359	-	-	84,359
სულ ფინანსური ვალდებულებები	484,078	-	816,504	1,300,582
წმინდა სავალუტო პოზიცია	1,127,489	44,501	35,024	

17.2 ლიკვიდურობის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

		2022	2021
ვალუტა	ცვლილება კურსში		
აშშ დოლარი	-10%	6,502	(3,502)
	-5%	3,251	(1,751)
	5%	(3,251)	1,751
	10%	(6,502)	3,502
		2022	2021
ვალუტა	ცვლილება კურსში		
ევრო	-10%	(202)	(4,450)
	-5%	(101)	(2,225)
	5%	101	2,225
	10%	202	4,450

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

2022 წლის 31 დეკემბერი	< 1 წელზე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	720,957	-	-	-	720,957
გაცემული სესხები	710,234	172,024	287,291	606,780	1,776,329
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,174	-	-	-	1,174
სულ აქტივები	1,432,365	172,024	287,291	606,780	2,498,460
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,221,425	-	-	-	1,221,425
ფინანსური იჯარა	55,476	-	-	-	55,476
სხვა ვალდებულებები	81,255	-	-	-	81,255
სულ ვალდებულებები	1,358,156	-	-	-	1,358,156
ლიკვიდურობის სხვაობა	74,209	172,024	287,291	606,780	1,140,304
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	74,209	172,024	287,291	606,780	
2021 წლის 31 დეკემბერი	< 1 წელზე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	784,646	-	-	-	784,646
გაცემული სესხები	1,721,920				1,721,920
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,030				1,030
სულ აქტივები	2,507,596	-	-	-	2,507,596
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,201,845				1,201,845
ფინანსური იჯარა	14,378	-	-	-	14,378
სხვა ვალდებულებები	84,359	-	-	-	84,359
სულ ვალდებულებები	1,300,582	-	-	-	1,300,582
ლიკვიდურობის სხვაობა	1,207,014	-	-	-	1,207,014
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	1,207,014	-	-	-	

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან და სესხებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული ბანკში	709,683	776,538
გაცემული სესხები	1,776,329	1,721,920
სულ	2,486,012	2,498,458

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს არაფორმალური საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეყრდნობა თბილისის ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა-არგაცემაზე.

18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია, განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

18.1 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

- დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.
- დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

18.1 რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდისა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

19 კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც ღვინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნასთან მიმართებაში.

	31-დეკ-22	31-დეკ-21
საწესდებო კაპიტალი	1,240,943	1,240,943
სულ კაპიტალი	1,240,943	1,240,943

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 1,000,000 ლარს.

20 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-22	გაცემული სესხები	მისაღები პროცენტი	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი
დამფუძნებლები	47,529	350	636,854	5,578
სულ	47,529	350	636,854	5,578
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	ღივიღენდი	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
დამფუძნებლები	126,721	8,863	45,512	58,800
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	36,000
სულ	126,721	8,863	45,512	94,800
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-21	გაცემული სესხები	მისაღები პროცენტი	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი
დამფუძნებლები	32,875	420	687,285	10,095
სულ	32,875	420	687,285	10,095

20 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი	დივიდენდი	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
დამფუძნებლები	43,408	1,499	60,121	62,100
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	36,688
სულ	43,408	1,499	60,121	98,788

21 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია არ წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

2023 წელს, კომპანიას ფიზიკური პირებისგან მიღებული აქვს სესხი 455,512 ლარის ოდენობით, ხოლო დაფარულია 459,287 ლარის სესხი. ამასთან, კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ დაფარული აქვს სს "იშბანკისგან" მიღებული სესხის ძირი 261,078 ლარი.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი"-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 14 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიზეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 29 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



Type text here

შპს მისო „ფინკრედიტი“

2022 წლის მმართველობითი ანგარიშგება



შინაარსი:

დირექტორის მოხსენება.....3

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადება4

ეკონომიკური გარემო5

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.....6

საფინანსო ბაზარი.....12

მისო „ფინკრედიტის“ ბიზნესმოდელი15

ფინანსური მაჩვენებლები15

რისკები17

დირექტორის მოხსენება

2022 წელს დასრულდა კოვიდ პანდემიის გამო დაწესებული სახელმწიფო რეგულაციები და შეზღუდვები, თუმცა რეგიონში განვითარდა რთული პოლიტიკური პროცესები, რამაც მთელ მსოფლიოში არასტაბილურობა გამოიწვია. მოვლენებმა პირდაპირი გავლენა იქონია ფინანსურ სექტორზე, ხოლო საფინანსო სექტორი საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან და მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. ამ მოვლენებიდან გამომდინარე 2022 წლის მანძილზე ეროვნული ვალუტა გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტი თავის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლების მანძილზე მისთვის რაოდენობა ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა, კონკურენცია მაინც საკმაოდ მაღალია, ხოლო პირობები და საპროცენტო განაკვეთები ბაზარზე პრაქტიკულად იდენტური.

წლის ჭრილში მოხდა კომპანიის პორტფელის 3.2%-ით გაზრდა. ამასთან, ყველა საკრედიტო პროდუქტზე შენაჩუნებულ იქნა გადახდების მაღალი და ვადაგადაცილების დაბალი მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ მიღწეული იყო სწორი საკრედიტო პოლიტიკით, კერძოდ კლიენტების შემოსავლების და აქტივების სწორად შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების მკაცრი კონტროლით. ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდება ორგანიზაციის ოქროსა და ძვირფასი ქვების უზრუნველყოფით გაცემული საკრედიტო პორტფელი, რაც განპირობებულია წვდომის სიმარტივით და მსუბუქი რეგულაციებით ამ პროდუქტზე მარეგულირებრის მხრიდან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებთან შედარებით. ზოგადად ორგანიზაციის საკრედიტო პორტფელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა ამ სექტორში, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს დაფინანსების წყაროები მოიზიდოს სხვადასხვა კომერციული ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან. სწორედ დაბალი საპროცენტო განაკვეთის ფინანსურ რესურსებზე წვდომა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეს კომპანიას გაზარდოს საკრედიტო პორტფელი, რის გარეშეც შუძლებელია მომგებიანობის სტაბილური ზრდა.

მისო ფინკრედიტის გუნდი დაკომპლექტებულია საფინანსო სექტორში დიდი გამოცდილების მქონე კვალიფიციური და მოტივირებული კადრებით, რომლებიც მუდმივად სთავაზობენ ჩვენს კლიენტებს სრულფასოვან ფინანსურ მომსახურებას. თავის მხრივ კომპანია აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას, ზრუნავს მათ განვითარებაზე და სთავაზობს მათ სხვადასხვა ტიპის ბენეფიტებს.

მომავალში მისო ფინკრედიტის მუშაობა კვლავაც იქნება მიმართული საკრედიტო პროდუქტების სრულყოფისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება არსებული კონკურენციის პირობებში ფინანსურ ბაზარზე კომპანიის პოზიციების განმტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოხსენება

2022 წელი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტისთვის“ წარმატებულ წლად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად რეგიონში მიმდინარე არასტაბილური გეო-პოლიტიკური პროცესებისა, „ფინკრედიტმა“ საანგარიშო პერიოდი დაასრულა მოგებით, რაც კომპანიის მენეჯმენტის მიერ კრიზისული პროცესების წარმატებული მართვის შედეგია.

კომპანიის წარმატების საფუძველს წარმოადგენს ჯერ 2008-2014 წლებში შპს „ფინკრედიტის“ შპს „თბილმიკროკრედიტისგან“ გამოყოფამდე პერიოდში მიღებული გამოცდილება და შემდეგ გამოყოფის შემდგომ წლებში თავისი საქმის პროფესიონალი გუნდის ფორმირება. სწორედ საფინანსო სექტორში გამოცდილების მქონე კვალიფიციური და მოტივირებული გუნდი განაპირობებს მრავალი წელია უკვე „ფინკრედიტის“ ყოველწლიურ წარმატებას, რაც წინა წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პანდემიური პროცესების თანმდევი ურთულესი გამოწვევების წარმატებულ მართვაშიც ნათლად გამოიხატა.

ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც პანდემიური პროცესების დასრულება დადებითად აისახა „ფინკრედიტის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე. ზრდა აღინიშნა კომპანიის მთლიანი სასესხო პორტფელის მოცულობის, და შესაბამისად მთლიანი აქტივების მაჩვენებლებში.

„ფინკრედიტის“ სასესხო პორტფელის ზრდის ტენდენცია, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრის ანალოგიური მაჩვენებლის ზრდა, პანდემიური პროცესების დასრულებასთან ერთად განპირობებული იყო 2022 წლის განმავლობაში ქვეყანაში დიდი რაოდენობით სავალუტო ნაკადების შემოდინებით, რაც რეგიონში მიმდინარე არასტაბილური პოლიტიკური პროცესებით იყო გამოწვეული.

ქვეყანაში პანდემიური მდგომარეობის დასრულება აისახა ასევე კომპანიის საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაში. უკლებლივ ყველა საკრედიტო პროდუქტზე გაუმჯობესებულ იქნა გადახდების მაჩვენებლები, რაც ასევე მიღწეული იყო „ფინკრედიტის“ გუნდის მიერ შემუშავებული სწორი საკრედიტო პოლიტიკით, კერძოდ კლიენტების შემოსავლების და აქტივების სწორად შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების მკაცრი კონტროლით.


ამასთან, კომპანია კვლავ განაგრძობს კიდევ უფრო დაეხვეწოს ხარისხი როგორც მომსახურების, ასევე ფინანსური მაჩვენებლების კუთხით. სწორედ „ფინკრედიტის“ ფინანსური სტაბილურობა და სწორი მენეჯმენტი განაპირობებს კომპანიის მიმართ ბანკებისა თუ სხვა საფინანსო დაწესებულებების და ასევე ფიზიკური პირების ნდობის ამაღლებას, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული დაფინანსებებით. „ფინკრედიტის“ არსებული ფინანსური შედეგები და საკრედიტო პოლიტიკა იძლევა მყარ საფუძველს იმისა, რომ არანაკლებ წარმატებულად განხორციელდეს კომპანიის განვითარების სამომავლო გეგმები, იმისათვის რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ აღნიშნული მაჩვენებლები მიკროსაფინანსო ბიზნესისთვის თანმდევი რისკების მინიმიზაციის გათვალისწინებით.

წლიური ანგარიშგება 2022 წელი

ეკონომიკური გარემო


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2022 წელს ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 10.1% და ერთ სულ მოსახლეზე 6,672 აშშ დოლარი შეადგინა. 2022 წლის ეკონომიკური ზრდის (კლების) მაჩვენებლები რეგიონში შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

ეკონომიკური ზრდა რეგიონის ქვეყნების მიხედვით 2022წ



აღსანიშნავია, რომ საქართველოში მშპ-ს ზრდის რეალური მაჩვენებელი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და მხოლოდ სომხეთს ჩამორჩება. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2022 წ



ეკონომიკური გარემო (გაგრძელება)


მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა (15%) და დამამუშავებელი მრეწველობა (11%). შემდგომ პოზიციებს იკავებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (10%) და მშენებლობა (8%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (7%), ტრანსპორტი და დასაწყობება (6%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (5%)

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

საგარეო ვაჭრობა

2022 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 19,042.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 32.8%-ით არის გაზრდილი. აქედან ექსპორტი 5,592.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 31.8%-ით), ხოლო იმპორტი 13,450.1 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 33.2%-ით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წელს 7,857.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.3%-ია.

ქვეყნის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტი 15.4%-ს შეადგენს და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9%-ით ჩამორჩება. თანხობრივი მოცულობით 20%-ით არის გაზრდილი და 862.7 მილიონი აშშ დოლარია. ეს კი ნიშნავს, რომ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მიუხედავად, საქართველოს უჭირს გაზარდოს ექსპორტის წილი ევროკავშირში და სხვა ბაზრებზე საექსპორტო მოცულობის ზრდა უფრო მაღალია. გაზრდილია დსთ-ს ქვეყნებთან შესაბამისი მაჩვენებელი და 48.2%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს რომ მთლიანი ექსპორტის 36.9% სამ ქვეყანაზე მოდის: ჩინეთი (13.2%), აზერბაიჯანი (12%), რუსეთი (11.7%). შესაბამისად, მეტი ეკონომიკური დოვლათის მისაღებად და ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდისათვის, საქართველოს სჭირდება როგორც ბაზრის დივერსიფიკაცია, ასევე რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება.


მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

საგარეო ვაჭრობა (გაგრძელება)

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გასულ წელს ყველაზე მეტად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა – 447,2 მლნ აშშ დოლარით. სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი 208,8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ყურძნის ნატურალური ღვინოები – 13,2 მლნ აშშ დოლარით.

საქართველოს ექსპორტში პირველი ადგილი სპილენძის მადნებს და კონცენტრატებს უჭირავს – 2022 წელს 1024,3 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა. მეორე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ექსპორტია 903,8 მლნ აშშ დოლარით, ფეროშენადნოები მესამეზე – 459,8 მლნ აშშ დოლარით. შემდეგ მოდის აზოტოვანი სასუქები 281,4 მლნ აშშ დოლარით.

საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკში.



2022 წელს ნომინალურ გამოსახულებაში ექსპორტზე მეტად იმპორტი გაიზარდა – 2 მილიარდი აშშ დოლარით. ქვეყნების მიხედვით იმპორტი ყველაზე მეტად რუსეთიდან გაიზარდა – 812 მლნ აშშ დოლარით. ჩინეთიდან იმპორტი 261 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, თურქეთიდან – 542 მლნ აშშ დოლარით.

საქართველოს იმპორტში პირველ ადგილს თურქეთი იკავებს (2,371 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდის რუსეთი (1,835 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი (1,125 მლნ აშშ დოლარი), აშშ (941 მლნ აშშ დოლარი) და გერმანია (662 მლნ აშშ დოლარი).

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გასულ წელს ყველაზე მეტად მსუბუქი ავტომობილების იმპორტი გაიზარდა – 683 მლნ აშშ დოლარით. ნავთობპროდუქტების (ძირითადად საწვავის) – 513 მლნ აშშ დოლარით, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი 39 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, სატელეფონო აპარატების – 98 მლნ აშშ დოლარით,

საქართველოს იმპორტში პირველი ადგილი მსუბუქ ავტომობილებს უჭირავს – 2022 წელს 1618,8 მლნ აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა. მეორე ადგილზე ნავთობპროდუქტებია 1336,4 მლნ აშშ დოლარით, მესამეზე – სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 775,2 მლნ აშშ დოლარით. შემდეგ მოდის ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები 461,3 მლნ აშშ დოლარით.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

საგარეო ვაჭრობა (გაგრძელება)

საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პოტენციალი, რათა მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების პროცესში. განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ქვეყანას მოახდინოს ICT კაპიტალის მოზიდვა, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას გახდეს უფრო მაღალტექნოლოგიური გაზარდოს სამუშაო ძალის ეფექტიანობა, დანერგოს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სტანდარტები რათა უზრუნველყოს განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს და გამოწვევებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის მონაცემების მიხედვით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2,097.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და 2021 წელს დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (1,252.7 მილიონი აშშ დოლარი) 67,4%-ით გადააჭარბა.

საქსტატის ცნობით, ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის – სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას კომპონენტების მიხედვით, სააქციო კაპიტალის მოცულობამ 2022 წელს 686.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 3.3-ჯერ აღემატება. რეინვესტიციის მოცულობა გაზრდილია 1.7-ჯერ და შეადგენს 1,289 მლნ აშშ დოლარს.


როგორც უწყების ანგარიშიდან ჩანს, 2022 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 64.5% შეადგინა. 2022 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2022 წელს 48.0% შეადგინა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 21.4%, მეორეზე – ესპანეთი 18.3%, ხოლო მესამეზე – აშშ 8.2%.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება კი 2022 წელს ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: სამი უმსხვილესი სექტორის წილმა განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, 2022 წელს 56.5% შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 526.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26.3%-ია. მეორე ადგილზე იმყოფება უძრავი ქონების სექტორი 406.9 მლნ აშშ დოლარით და 20.3%-იანი წილით, ხოლო მესამეზე – წყალმომარაგებისა და ნარჩენების მართვის სექტორი 197.0 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 9.9%-ს შეადგენს.


მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (გაგრძელება)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2022 წელს, ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე:



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:




ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადმავალი ტრენდით ხასიათდებოდა. მართალია პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2021 წელს ორჯერ იყო გაზრდილი 2020 წელთან მიმართებაში, მაგრამ ნაკლები იყო პანდემიანდელი 2019 წლის მაჩვენებელზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ზრდაა 2022 წელს. ზოგადად, ეკონომიკური ზრდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, რომელიც თავის მხრივ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი მახალანსებელი ფაქტორია. ასეთი სახის ინვესტიციებს მოაქვს ცოდნა როგორც ტექნოლოგიების, ასევე, საერთაშორისო ბაზრების, მენეჯმენტის მიმართულებით.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

გზავნილები საზღვარგარეთიდან

2022 წელს ფულადი გზავნილები საქართველოში 2021 წელთან შედარებით 2.1 მილიარდი აშშ დოლარით (86%-ით) გაიზარდა. 2021 წელს საქართველოში 2.3 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 2022 წელს 4.4 მილიარდი აშშ დოლარი გადმოირიცხა. ცალკე აღებულ დეკემბრის თვეში საქართველოში 535 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც 2021 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 306 მლნ აშშ დოლარით მეტია. ერთ თვეში საქართველოში 535 მლნ აშშ დოლარი ან მეტი არასდროს გადმოირიცხულა ფულადი გზავნილებით, ეს რეკორდული მაჩვენებელია. 2022 წელს საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ზრდა ყველაზე მეტად რუსეთიდან ჩამორიცხვებმა განაპირობა, საიდანაც 2.1 მილიარდი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 5-ჯერ მეტია. რუსეთის წილი ფულად გზავნილებში 47%-ია. გზავნილები ასევე გაიზარდა ყაზახეთიდან 88 მლნ აშშ დოლარით, ყირგიზეთიდან – 80 მლნ აშშ დოლარით, გერმანიიდან – 51 მლნ აშშ დოლარით და იტალიიდან – 46 მლნ აშშ დოლარით. მნიშვნელოვნად შემცირდა გზავნილები უკრაინიდან, 2021 წელს 93 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, 2022 წელს კი მხოლოდ 11 ათასი აშშ დოლარი. ასევე შემცირდა აზერბაიჯანიდან 30 მლნ აშშ დოლარით. 2022 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ 343 მლნ აშშ დოლარი გადაირიცხა, რაც 27 მლნ აშშ დოლარით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ათი უმსხვილესი ქვეყანა ფულადი გზავნილების მიხედვით შემდეგი სახით გამოიყურება:




ფულადი გზავნილების მიხედვით წამყვან პოზიციებს კვლავ რუსეთის ფედერაცია და იტალია იკავებენ 2,068 მილიონი აშშ დოლარით და 431.6 მილიონი აშშ დოლარით შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მაღალი კონცენტრაცია შეინიშნება ფულადი გზავნილების მიმართულებითაც, იქიდან გამომდინარე, რომ გზავნილების თითქმის 70% ოთხ ქვეყანაზე მოდის.

საგარეო ვალი

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 23.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა და 7.6%-ით (1.66 მილიარდი აშშ დოლარი) გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში (21.8 მილიარდი აშშ დოლარი). ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის მაჩვენებელმა, რაც ვალის ტვირთის გამომხატველია, 95.7% შეადგინა.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

საგარეო ვალი (გაგრძელება)



ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი, სახელმწიფო საწარმოები და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 10.6 მლრდ აშშ დოლარი (28.7 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 43.2%-ია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 8.1 მლრდ აშშ დოლარი (21.8 მლრდ ლარი; მშპ-ს 32.8%), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 896.2 მლნ აშშ დოლარი (2.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 3.6%), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 440 მლნ აშშ დოლარი (1.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 1.8%) და 1.2 მლრდ აშშ დოლარი (3.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 5%).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 6.5 მლრდ აშშ დოლარი (17.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 26.4%); სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 4.7 მლრდ აშშ დოლარი (12.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 19%); კომპანიათაშორისმა ვალმა - 3.4 მლრდ აშშ დოლარი (9.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 13.9%)

ინფლაცია


2022 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.3%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 9.8% შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.9% შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.8%-ით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში წარმოდგენილია 2021 წლის დეკემბრის წლიური ინფლაციის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - ფასების 9.3%-იანი ზრდა;
- ჯანდაცვა - ფასების 3.6%-იანი კლება;
- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - ფასების 16.3%-იანი ზრდა;
- ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა - ფასების 8.8%-იანი ზრდა.
- საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი - ფასების 15.8%-იანი ზრდა.
- სასტუმროები, კაფეები და რესტორნები - ფასების 14.8%-იანი ზრდა.
- დასვენება, გართობა, კულტურა - ფასების 3.6%-იანი ზრდა.
- განათლება - ფასების 6.6%-იანი ზრდა.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)


ინფლაცია (გაგრძელება)



საფინანსო ბაზარი

2022 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა კიდევ 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით შემცირდა და საბოლოო ჯამში ბაზარზე 36 ოპერირებადი კომპანია დარჩა. მიუხედავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებისა, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა თანმიმდევრულმა და ამავე დროს მკაცრი პოლიტიკით გათვალისწინებულმა საზედამხებდველო ღონისძიებებმა მთლიანობაში მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი იქონია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრის გაჯანსაღებაზე. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად კონტროლდება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის, ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით გათვალისწინებული კოეფიციენტების შესაბამისობა კანონთან, რაც უზრუნველყოფს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მოკლევადიან ლიკვიდობას და გადამხდელუნარიანობას, გარდა ამისა ფიზიკური პირების შესახებ დაკრედიტების დებულების შემუშავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის ხარისხი და გონივრულ ჩარჩოში მოაქცია როგორც კომპანიის ასევე ფიზიკური პირის (მსესხებლის) საკრედიტო რისკები.

აქტივების ნაწილში, 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრებსითი აქტივების თანხობრივმა მოცულობამ 1,879 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 245 მილიონი ლარით ანუ 15.0%-ით არის გაზრდილი.




საფინანსო ბაზარი (გაგრძელება)


აქტივების ზრდა ძირითადად გაცემული სესხების მოცულობის ზრდით არის გამოწვეული. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სესხების მოცულობა 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით 15.7%-ით არის გაზრდილი და თანხობრივი მოცულობით ზრდამ ანალოგიურ პერიოდში 214 მილიონი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი ვალდებულებების მოცულობას, მიუხედავად 2022 წლის განმავლობაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირების ტენდენციისა, მთლიანი ვალდებულებების მოცულობა 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.4%-ით არის გაზრდილი და თანხობრივი მოცულობით 1,216 მილიონი ლარი შეადგინა.

ამავე დროს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი საწესდებო კაპიტალის მოცულობა 2022 წლის IV კვარტლის მონაცემებით 5.1%-ით არის შემცირებული წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც პირდაპირ უკავშირდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებას. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების ზრდა მეტწილად ვალდებულებების ზრდით არის უზრუნველყოფილი.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 მიხედვით, 2018 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მოახდინონ სესხის დანაკარგის რეზერვის ფორმირება და მოახდინონ ვადაგადაცილებული სესხების მოცემული ბრძანების საფუძველზე დარეზერვება. სესხის დანაკარგის რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში.



საფინანსო ბაზარი (გაგრძელება)

2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მოცულობა შემცირდა 4.1%-ით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც თავის მხრივ ქვეყანაში პანდემიური მდგომარეობის დასრულებითაც იყო განპირობებული. მთლიანობაში, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან შემცირდა 0.9%-ით და შეადგინა 4.8%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც მსოფლიოში და ასევე საქართველოში მიმდინარე პანდემიური მდგომარეობის დასრულების ფონზე 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წმინდა მოგებამ შეადგინდა 113.7 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16.2%-ით არის გაზრდილი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტი“

ბიზნეს მოდელი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტი“ 2014 წლიდან ოპერირებს ფინანსურ ბაზარზე და ღირსეულად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. კომპანიას გააჩნია მართვის ორდონიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს:

- ივანე ბარბაქაძე (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) – 15.00% (წილი)
- თინა მძინარიშვილი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) - 3.62% (წილი)
- მანანა კავთიაშვილი (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) -10.87% (წილი)

დირექტორი:

- მერაბ მარდალეიშვილი

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ გამოცდილი ფინანსისტები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმდინარე და ყოფილი თანამშრომლები.

კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია ერთი ფილიალით მდებარე თამარ მეფის გამზირი N7. კომპანიაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.


კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტება. კომპანიაში ფუნქციონირებს ორი ძირითადი სასესხო პროდუქტი - ერთი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი, რომლითაც სარგებლობენ ფიზიკური და იურიდიული პირები; და მეორე, ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი. კომპანია თავად ახდენს ფინანსური რესურსების მოზიდვას ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

ორგანიზაციაში ფუნქციონირებს პროგრამა „LoanKeeper“-ი, რომლის პროგრამულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომპანია „Dolphin Software“, რომელიც დისტანციურად ახორციელებს პროგრამის მხარდაჭერას, პროგრამაში ინტეგრირებულია საკრედიტო, ბუღალტრული და ე.წ AML მოდული.

ფინანსური მაჩვენებლები

აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტის“ მთლიანმა აქტივებმა 2,689 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.8%-ით არის გაზრდილი.



ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

აქტივები (გაგრძელება)

მთლიანი გაცემული სესხების მოცულობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.2%-ით არის გაზრდილი, რაც გარკვეულწილად 2022 წლის განმავლობაში ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც პანდემიური პროცესების დასრულებით იყო განპირობებული.

სასესხო პორტფელი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინკრედიტის“ სასესხო პორტფელის (1,776 ათასი ლარი) 58.1% (თანხობრივი მოცულობით 1,033 ათასი ლარი) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე მოდის, ხოლო დარჩენილი 41.9% - ოქროს ლომბარდსა და სამომხმარებლო სესხებზე.

სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა 31 თვით განისაზღვრა, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 24.0%-ით განისაზღვრა.

ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი სასესხო პორტფელში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15.6%-ს (თანხობრივი მოცულობით 260.8 ათასი ლარი).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვადაგადაცილებული სესხების მთლიანი 100.0% შეადგენს 30 დღემდე ვადაგადაცილებულ სესხებს, რომელიც „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით დარეზერვებას არ ექვემდებარება.

ვალდებულებები/კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისო „ფინკრედიტის“ სასესხო ვალდებულებების ჯამურმა თანხობრივმა მოცულობამ 1,221 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც 1.6%-ით არის გაზრდილი.

კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლების ძალისხმევით მიუხედავად „ფინკრედიტმა“ კერძო 2022 წელს შეძლო აქტივების დაფინანსების უფრო სტაბილური და იაფი რესურსების მობილიზება, რაც გარკვეულწილად განპირობებულია კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების დაბალი კონცენტრაციით და ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის არარსებობით, რომელიც საშუალებას მისცემდა კომპანიას უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენის გარეშე ესარგებლა უფრო მოქნილი და იაფი ფინანსური ინტრუმენტებით.

2022 წლის მდგომარეობით მისო „ფინკრედიტის“ მიერ ფიზიკური პირებისგან ეროვნულ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12.0%-ს, ხოლო ფიზიკური პირებისგან უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5.0%-ს, კომპანიის საწესდებო კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,241 ათასი ლარი შეადგინა.

ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მომგებიანობა

2022 წლის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტის“ წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 322 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 12.1%-ით არის შემცირებული, ხოლო კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 90 ათასი ლარი. კომპანიის უკუგებამ კაპიტალთან (ე.წ. ROE) 7.3% შეადგინა, წმინდა მოგების შეფარდებამ მთლიან აქტივებთან (ე.წ. ROA) კი 3.4%-ი შეადგინა.

საპროცენტო შემოსავლისა და მომგებიანობის წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებაში შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მკაცრი რეგულირების ფონზე ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენცია.

რისკები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი თავის თავში მოიცავს რისკს, იმის შესახებ რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული, რომელიმე მხარე ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტის“ ძირითად საქმიანობას უძრავი ქონებით/მვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა წარმოადგენს, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან ასაცილებლად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკრედიტო რისკების გამოვლენას და ეფექტიანად მართვას.

მიკროსაფინანსოს საკრედიტო და სასესხო პოლიტიკა დგინდება საკრედიტო სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც აანალიზებს სესხის განაცხადში მოცემულ ინფორმაციას. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე.

სესხის გაცემის ან/და დაუარების გადაწყვეტილების მისაღებად საკრედიტო კომიტეტი ხელმძღვანელობს სასესხო პროდუქტთან დაკავშირებული სამი ძირითადი ფაქტორით:

- მსესხებლის შემოსავლების/ხარჯების დეტალური ანალიზი;
- მსესხებლის საკრედიტო ისტორიის ანალიზი;
- სესხის უზრუნველყოფის საგნის შეფასება;

მსესხებლის წმინდა შემოსავლების შეფასებისას საკრედიტო კომიტეტი ითვალისწინებს არამარტო მსესხებლის შემოსავლის თანხობრივ მოცულობას არამედ მსესხებლის შემოსავლის წყაროს სტაბილურობას და ამის მიხედვით განსაზღვრავს რამდენად გადამხდელუნარიანია მსესხებელი გრძელვადიან პერიოდში.

რისკები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შეფასებისას საკრედიტო კომიტეტი ითვალისწინებს, მსესხებლის მიერ აღებული სესხების ჯამურ მოცულობას და გადასახდელს, კრედიტინფოში გადამოწმებების რაოდენობას ბოლო 3 თვის განმავლობაში და ბოლო წლების განმავლობაში მის მიერ გამოყენებული სასესხო პროდუქტების რაოდენობას.

მსესხებლის მიერ წარმოდგენილი უზრუნველყოფის საგნის შეფასებისას საკრედიტო კომიტეტი ითვალისწინებს, უძრავი ქონების ადგილმდებარეობას, უძრავი ქონების ექსტერიერისა და ინტერიერის მდგომარეობას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს უძრავი ქონების საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულებების და ლიკვიდურობის დადგენას.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა მახასიათებლების კომპლექსური შესწავლისა და დამუშავების შედეგად საკრედიტო კომიტეტი ახდენს გადაწყვეტილების მიღებას სესხის გაცემასა და დაუარებასთან დაკავშირებით.

საკრედიტო რისკების გამოვლენისთვის და ეფექტიანი მართვისთვის მისო სესხის გაცემის შემდგომ ეტაპზე ახორციელებს პორტფელის ყოველკვარტლურ მონიტორინგს, განხორციელებულმა მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა გაუარესდა თუ არა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, მისოში სესხის აღების შემგომ ეტაპზე გაიზარდა თუ არა მსესხებლის ვალდებულებები, ფუნქციური, გეოგრაფიული ან/და ეკონომიკური ცვლის ხარჯზე, ხომ არ მოხდა უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და ამის შედეგად რამდენად გაუარესდა სესხის LTV¹ კოეფიციენტი. მისო აანალიზებს განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და შესაბამისად ადგენს რამდენად გაიზარდა ან შემცირდა საკრედიტო რისკი.

გაზრდილი საკრედიტო რისკის გამოვლენის შემთხვევაში მისო ახორციელებს ანალიზს საკრედიტო რისკის ზრდის მიზეზების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით. თუ ანალიზის შედეგად დადგინდება, რომ იმ მსესხებლებს, რომლებზეც გაზრდილია საკრედიტო რისკი გააჩნიათ რაიმე საერთო დამახასიათებელი ნიშანი, ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მისოს მხრიდან სესხის გაცემის ზედმეტად ლიბერალურ მიდგომებს. შედეგად, მისოს მხრიდან გადაიხედება სესხის გაცემის პოლიტიკა და ხდება შეფასების კონკრეტული კრიტერიუმის გამკაცრება თუ საკრედიტო რისკის ზრდის მიზეზების გამოვლენის შედეგად დადგინდება, რომ მსესხებლების გადამხდელუნარიანობის გაუარესება გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა მაგალითად ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, უმუშევრობის ზრდა და ა.შ ამ შემთხვევაში მისო უკავშირდება მსესხებლებს და რესტრუქტურირაციითა თუ სხვა მექანიზმებით, ახდენს თვითური გადასახდელის მსესხებლისათვის ოპტიმალურ დონემდე დაწევას, რათა მსესხებელმა ფინანსური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად მარტივად უზრუნველყოს სესხზე ყოველთვიური გადასახდელის მომსახურება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტის“ ვადაგადაცილებული სესხების შეფარდებამ მთლიან სასესხო პორტფელთან 15.6% შეადგინა, საიდანაც მთლიანი 100% მოდის 30 დღემდე ვადაგადაცილებულ სესხებზე.

¹ LTV კოეფიციენტი - გასაცემი სესხის თანხის შეფარდება უძრავი ქონების საბაზრო/სალიკვიდაციო ღირებულებასთან.

რისკები (გაგრძელება)


საბაზრო რისკი

მისო „ფინკრედიტი“ საოპერაციო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს საფინანსო ბაზარზე, შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის ძირითადი ფაქტორების ცვლილება მკვეთრ გავლენას ახდენს მის ფუნქციონირებასა და ფინანსურ შედეგებზე. ძირითად საბაზრო რისკებს, რომლებმაც მკვეთრი გავლენა შეიძლება იქონიონ მისოს ფინანსურ მაჩვენებლებსა თუ საოპერაციო საქმიანობაზე წარმოადგენენ; სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი.

სავალუტო რისკი

2022 წელს საქართველოში ეროვნული ვალუტის საშუალო კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 2.9156 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 9.5%-ით არის შემცირებული. ეროვნული ვალუტის საშუალო კურსის შემცირება აშშ დოლართან მიმართებაში რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოძინებით იყო განპირობებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის მე-4 კვარტალი 2.7020-იანი მაჩვენებლით დაიხურა, რაც 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით ეროვნული ვალუტის 12.8%-იან გამყარებას ნიშნავს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინკრედიტის“ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან 24.6% შეადგინა (თანხობრივი მოცულობით 610 ათასი ლარი), ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების შეფარდება მთლიანი ვალდებულებების 50.2%-ია (თანხობრივი მოცულობით 618 ათასი ლარი). მაქსიმალურად შემცირებული ღია სავალუტო პოზიცია კი საშუალებას აძლევს კომპანიას ქვეყანაში მიმდინარე სავალუტო რყევების მიუხედავად მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რყევებით მიღებული შესაძლო უარყოფითი ეფექტები.



თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს აეკრძალათ ახალი სესხის გაცემა უცხოურ ვალუტაში და კრედიტორების ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ საკმაოდ დაბალია პერიოდულად მოსალოდნელია სავალუტო დისბალანსის გაზრდა, შესაბამისად სავალუტო რისკი მისოსთვის მაინც აქტუალურია.

რისკები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

მოცემული რისკის მიტიგაციის კუთხით მისოს მენეჯმენტი აგრძელებს სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებშიც უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მოზიდულ ნასესხებ სახსრებზე მცირდება საპროცენტო განაკვეთები, რომ კრედიტორებისთვის ფულადი რესურსების უცხოურ ვალუტაში განთავსება ნაკლებად მიმზიდველი იყოს. გარდა ამისა, მისო გეგმავს თავისუფალი ფინანსური რესურსებით უცხოური ვალუტის შეძენას სავალუტო ბაზარზე და არსებული კრედიტორების გასტუმრებას, ამ მიმართულებით ასევე მიმინარეობს აქტიური სამუშაოები ბანკებთან ე.წ. Cash Cover-ის მოთხოვნით, რომლის რამდენიმე მაგალითი კომპანია 2022 წელს განახორციელა კიდევ.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ვერ შესრულებასთან. ლიკვიდობის რისკი ფინანსური სექტორის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი რისკია, რომლის მართვასა და მონიტორინგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტის მართვის პროცესში.

ლიკვიდობის რისკები პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა წყაროებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვასთან. იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარებული კაპიტალის ბაზარი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაფინანსების მხოლოდ ორი ალტერნატივა აქვთ:

- ბანკიდან სესხის მიღება;
- ფინანსური რესურსების აკუმულირება საოჯახო მეურნეობებიდან.

ორივე ალტერნატივას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია, კერძოდ: ბანკები კომპანიის შეფასებისას იყენებენ კონსერვატიულ მიდგომებს, მეტწილად აქცენტს აკეთებენ უზრუნველყოფის საგანზე, რომელიც ძირითად შემთხვევებში უძრავ ქონებას უნდა წარმოადგენდეს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოქნილი საოპერაციო საქმიანობისათვის მთლიან აქტივებში ნაკლებად ლიკვიდური უძრავი ქონების დიდი წილი მომეტებული საფრთხის შემცველია და აქტივების დიდი წილი ლიკვიდურ რესურსებზე მოდის. ეს ფაქტი ართულებს ბანკებისგან დაფინანსების მოპოვებას.

მისოში ლიკვიდობის პერიოდული მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №143/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საფუძველზე დაადგინა ლიკვიდობის კოეფიციენტი² (ლიმიტი 25%), 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით მისოში ლიკვიდობის კოეფიციენტის მაჩვენებელმა 28.3% შეადგინა.

ლიკვიდობის რისკის მინიმიზაციის მიზნით „ფინკრედიტი“ რეგულარულად აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ საინვესტიციო ფონდებთან და კერძო ინვესტორებთან ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებით, რაც ხშირ შემთხვევაში წარმატებით სრულდება.

² ლიკვიდობის კოეფიციენტი - ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა

რისკები (გაგრძელება)

კონკურენციის რისკი

საქართველოში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენტული გარემოა შექმნილი ეროვნული ბანკის სტატისტიკის საფუძველზე 2022 წლის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა ბაზარზე წარმოდგენილი იყო 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთა მთლიანმა კაპიტალიზაციამ 663 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში 16.1%-ით არის გაზრდილი. მისო „ფინკრედიტის“ მთლიანმა კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 1,331 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი კაპიტალიზაციის 0.20%-ია. მისო „ფინკრედიტის“ მთლიანი სასესხო პორტფელის თანხობრივმა მოცულობამ 1,776 ათასი ლარი შეადგინა, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა კრებსითი სასესხო პორტფელის 0.11%-ია. ინტენსიურმა კონკურენციამ შესაძლოა ნეგატიური ეფექტი იქონიოს „ფინკრედიტის“ საბაზრო წილის გაზრდაზე საკრედიტო პორტფელისა და ნასესხებ სახსრებში. კონკურენტმა ორგანიზაციებმა შესაძლოა მოიპოვონ წვდომა უცხოურ იაფ კაპიტალზე ან მომხმარებელს მიაწოდონ საფინანსო პროდუქტების უფრო დახვეწილი და ფართო ასორტიმენტი, რამაც „ფინკრედიტისთვის“ შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენტული უპირატესობის დაკარგვა.

ინტენსიური კონკურენცია უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის იმ წმინდა საპროცენტო შემოსავლის, საოპერაციო მოგების და წმინდა მოგების მარჟებზე, რაც საბოლოო ჯამში რისკის ქვეშ დააყენებს „ფინკრედიტის“ კონკურენტუნარიანობას საფინანსო ბაზარზე და შეამცირებს კომპანიის მომგებიანობას.

„ფინკრედიტი“ პერიოდულად ახორციელებს საფინანსო ბაზრის განვითარების მონიტორინგს და კომპანიის კონკურენტული უპირატესობებისა და სისტუტეების გამოვლენის მიზნით ატარებს SWOT ანალიზებს. რაც შეეხება კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს, მსგავსი ღონისძიებები კომპანიას 2022 წელს არ ჩაუტარებია.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკრედიტი“ მომავალშიც გეგმავს მომხმარებლებისთვის არსებული პროდუქტების შეთავაზებას, თუმცა მუდმივად იქნება ორიენტირებული გააუმჯობესოს აღნიშნული პროდუქტების პირობები და თანხვედრაში მოიყვანოს ბაზრის მოთხოვნებთან. ამასთან, კომანია გეგმავს ფინანსური მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუმჯობესებას, რისთვისაც აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებთან საკრედიტო რესურსების უკეთეს პირობებში მოზიდვისთვის, რითაც ნაწილობრივ დაგეგმილია ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების ჩანაცვლება.

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს დავამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან ვითარების სრულმასშტაბიანი ესკალაცია გამოიწვია და რუსეთის ფედერაციასთან ომით დასრულდა. 2006 წელს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რამაც საბოლოო ჯამში 2008 წელს ომის სახე მიიღო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის.

რისკები (გაგრძელება)

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი (გაგრძელება)

ომის შემდგომ პერიოდში სახეზეა რუსეთის ფედერაციის მხრიდან წახალისებული მცოცავი ოკუპაცია, რაც არასტაბილურობის განცდას იწვევს და უარყოფით მოლოდინებს აჩენს ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებში. პოლიტიკური დამაბულობა და ვითარების ესკალაციის მაღალი ალბათობა რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებაზე.

განვითარებად ბაზართან დაკავშირებული რისკი

საქართველოს განვითარებადი ბაზარი განვითარებული ქვეყნების ბაზარზე მეტი რისკის მატარებელია. ისეთი განვითარებადი ბაზარი, როგორც საქართველოშია უცხოელი ინვესტორებისათვის ისეთ რისკებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მაღალი ვოლატილობა, დაბალი ლიკვიდობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ფისკალური დეფიციტი, არასტაბილური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემო. მოცემული გარემოებები ხშირ შემთხვევაში მკვეთრ ცვლილებებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადია ეკონომიკური ცვლილებებისა და უარყოფითი საგარეო ფაქტორების მიმართ. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე ქართულ ბაზარზე მოქმედი კომპანიებისთვის საკმაოდ რთულია უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

ანგარიშგების მომზადების თარიღი: 29/09/2023

მისო „ფინკრედიტის“ დირექტორი:

რისკები (გაგრძელება)

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი (გაგრძელება)

ომის შემდგომ პერიოდში სახეზეა რუსეთის ფედერაციის მხრიდან წახალისებული მცოცავი ოკუპაცია, რაც არასტაბილურობის განცდას იწვევს და უარყოფით მოლოდინებს აჩენს ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებში. პოლიტიკური დამაბულობა და ვითარების ესკალაციის მაღალი ალბათობა რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებაზე.

განვითარებად ბაზართან დაკავშირებული რისკი

საქართველოს განვითარებადი ბაზარი განვითარებული ქვეყნების ბაზარზე მეტი რისკის მატარებელია. ისეთი განვითარებადი ბაზარი, როგორიც საქართველოშია უცხოელი ინვესტორებისათვის ისეთ რისკებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მაღალი ვოლატილობა, დაბალი ლიკვიდობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ფისკალური დეფიციტი, არასტაბილური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემო. მოცემული გარემოებები ხშირ შემთხვევაში მკვეთრ ცვლილებებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადია ეკონომიკური ცვლილებებისა და უარყოფითი საგარეო ფაქტორების მიმართ. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე ქართულ ბაზარზე მოქმედი კომპანიებისთვის საკმაოდ რთულია უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

ანგარიშგების მომზადების თარიღი: 29/09/2023

მისო „ფინკრედიტის“ დირექტორი:

